სარედაქციო საბჭო აცხადებს სტატიების მიღებას სტუდენტთა სამეცნიერო ჟურნალის „მერმისი - სტუდენტური წელიწდეული“ I ნომრისათვის

<u>სტატიის მიღების წინაპირობაა:</u>

პროფესორის, სტუდენტის ხელმძღვანელის/რეკომენდატორის, წერილობითი დასკვნა, რომ სტატია აკმაყოფილებს ჟურნალის სამეცნიერო და ტექნიკურ მოთხოვნებს და წარმოდგენილი სახით შეიძლება დაიბეჭდოს. სტატიასთან ერთად დაიბეჭდება ხელმძღვანელის დასკვნაც.

სტატიის დაბეჭდვის მსურველმა სტატიასა და ხელმძღვანელის/რეკომენდატორის წერილობით დასკვნასთან ერთად უნდა წარმოადგინოს განაცხადი.

<u>განაცხადის ფორმა:</u>

სახელი, გვარი;
საგანმანათლებლო პროგრამა საფეხურის მითითებით (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა);
ტელეფონი/მობილური;
ელექტრონული ფოსტის მისამართი;
ხელმძღვანელის/რეკომენდატორის სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონი/მობილური;
ელექტრონული ფოსტის მისამართი;
თარიღი.

<u>სტატიების გაფორმების წესი:</u>

სტატიის ენა - ქართული;
რედაქტორის პარამეტრები Word Windows-ისთვის;
ფურცლის ზომა A4;
მინდორი: ზევით-ქვევით - 2 სმ; მარჯვნივ-მარცხნივ - 2,5სმ.
შრიფტი -Sylfaen
შრიფტის ზომა -12;
სტრიქონებს შორის ზომა -1,5;
გვერდების რაოდენობა - 5-7;

<u>სტატიის ტექსტის ფორმატი:</u>

ავტორის სახელი, გვარი - შრიფტის ზომა 12;
სტატიის სახელწოდება - Bold შრიფტის ზომა 14;
სტატიის ტექსტი - შრიფტის ზომა 12;
ყველა მასალა (სტატია, განაცხადი, ხელმძღვანელის/რეკომენდატორის დასკვნა) წარმოდგენილი უნდა იქნას ელექტრონული ვერსიით.

<u>ჟურნალის დამოწმების სტილი/ციტირების სტილი:</u>

შიდატექსტური დამოწმება:

ლიტერატურის შიდატექსტური დამოწმება სრულდება შემდეგნაირად:

1. ა) კვადრატულ ფრჩხილებში ჩაიწერება ავტორის გვარი, მძიმე, პუბლიკაციის წელი, ორწერტილი და გვერდის ნომერი. მაგ., რისმაგ გორდეზიანის წიგნი "მედიტერანულ-ქართველური მიმართებები". ტომი II. ლოგოსი. თბ., 2007. გვერდი 181. ტექსტში დამოწმებული იქნება შემდეგნაირად:

[გორდეზიანი, 2007:181].

ბ) თუ სტატია დაბეჭდილია ჟურნალში ან კრებულში, ასევე, კვადრატულ ფრჩხილებში ჯერ დაიწერება სტატიის ავტორის გვარი, მძიმე, პუბლიკაციის წელი, ორწერტილი და გვერდის ნომერი. მაგ., კრებულ "მესხეთის" VIII-IX ნომერში დაბეჭდილი დანა შერის სტატია "კავკასიელები: წარმოდგენები კავკასიაზე და იმპერიის პოლიტიკა კავკასიის კორპუსის ოფიცერთა მემუარებში (1834-1859 წწ.)". თბილისი-ახალციხე. 2007. გვერდი 292. ტექსტში დამოწმებული იქნება შემდეგნაირად:

[შერი, 2007:292].

2. თუ წიგნს ჰყავს რამდენიმე ავტორი, კვადრატულ ფრჩხილებში ჩაიწერება წიგნში პირველად მითითებული ავტორის გვარი, მრავალწერტილი, პუბლიკაციის წელი, ორწერტილი და გვერდის ნომერი. მაგ., კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის "ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია". თბ., 1975. გვერდი 27. ტექსტში დამოწმებული იქნება შემდეგნაირად:

[კეკელიძე... 1975:27].

3. კრებულების დამოწმებისას კვადრატულ ფრჩხილებში უნდა ჩაიწეროს კრებულის სათაურის პირველი სიტყვა, მრავალწერტილი, პუბლიკაციის წელი, ორწერტილი და გვერდის ნომერი.

ნიმუში: კრებული "აკადემიკოს ილია გაგულაშვილის დაბადებიდან 50 წლის შესრულების საპატივცემულოდ" [შემდგ.: ანა გაგულაშვილი; რედ.: ვლადიმერ ყავლაშვილი]; ქუთაისი. 2003. ტექსტში დამოწმებული იქნება ასე:

[აკადემიკოს... 2003:15]

4. უცხოენოვანი წიგნის მითითების შემთხვევაში, ავტორის გვარი უნდა მიეთითოს ორიგინალის ენაზე, ხოლო დამოწმების წესი იქნება ისეთივე, როგორიც არის ქართულენოვანი წიგნის მითითებისას.

მაგალითად, წიგნი Barry Lord, Gail Dexter Lord. The Manual of Museum Management. Tb.,2006 დამოწმებული იქნება ასე:

[Lord, 2006:35].

5. ბიბლიის დამოწმება ხდება შემდეგნაირად: კვადრატულ ფრჩხილებში ჩაიწერება დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით ბიბლიური წიგნის შემოკლებული სახელწოდება, წერტილი, თავი, ორწერტილი, მუხლი.

ნიმუში: [დაბ. 15:21]; [გამ. 15:16];

6. ენციკლოპედიის ან ლექსიკონის დამოწმება ხდება ავტორის (ავტორთა გვარების) ან სათაურის პირველი სიტყვის მითითებით, ზუსტად ისე, როგორც შიდატექსტური დამოწმების 1-ლ, მე-2 და მე-3 პუნქტებშია მოცემული.

7. თუ ავტორს ერთსა და იმავე წელს გამოცემული აქვს ორი ან მეტი წიგნი, ავტორის გვარის შემდეგ მიეთითება შესაბამისად A, B და ა.შ.

ნიმუში: [გორდეზიანი A, 2007:181].

<u>ბიბლიოგრაფიის მითითება:</u>

სტატიის ბოლოს მითითებული გამოყენებული ლიტერატურის სიაში ან ბიბლიოგრაფიაში გამოცემები დალაგდება ანბანური თანმიმდევრობით ავტორების (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სათაურის) გვარების მიხედვით; ჯერ ქართული, შემდეგ უცხოური გამოცემები.

გთხოვთ იხელმძღვანელოთ შემდეგი ნიმუშის მიხედვით:

ლიტერატურა

იმნაიშვილი ვ. 2008. დეფისის ხმარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. *თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის II სამეცნიერო კონფერენციის – შალვა ნუცუბიძე 120 – მასალები.* თბილისი.

კიკნაძე გრ. 1978. ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები. თბილისი.

1972 ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის. თბილისი.

ლორთქიფანიძე ი. 1970. ატრიბუციის საკითხები. *ტექსტოლოგიის საკითხები. ტომი I.* თბილისი.

Gaunt W. 1957 . The Aesthetcs Adventures. London: *West Richard. Press.*

Hamsun K. 1965 . Artikler 1889-1928. Oslo.

Короп В. 2005 Станислаус Эрик, граф Стенбок. www.malpertuis.ru/stenbock_bio.htm

შენიშვნები

1. ავტორისეული შენიშვნები ჩატანილი უნდა იყოს სქოლიოში, შესაბამისი გვერდის ბოლოს და დაინომროს ერთიანი ნუმერაციით მთელ სტატიაში. სქოლიოს შრიფტის ზომა 9.

2. სტატიის შიგნით ტექსტის ციტირებისას იგი უნდა გამოიყოს ძირითადი ტექსტიდან დახრილი შრიფტით (იტალიკით). ციტატის შრიფტის ზომა - 11.

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 2012 წლის 30 მარტი.

საკონტაქტო პირი: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი.

მასალები მიიღება შემდეგ მისამართზე: nana.gaprindashvili@tsu.ge

ჟურნალის სარედაქციო საბჭო გისურვებთ შემოქმედებით წარმატებებს და მადლობას მოგახსენებთ თანამშრომლობისათვის!

ჟურნალის სარედაქციო საბჭო:

1. დარეჯან თვალთვაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
2. თედო დუნდუა - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე
3. ნანა გაფრინდაშვილი - სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი
4. მანანა რუსიეშვილი – პროფესორი
5. ქეთევან ჭკუასელი - პროფესორი
6. ზაზა სხირტლაძე - პროფესორი
7. ნინო ჩიქოვანი - პროფესორი
8. ლალი ქეცბა-ხუნდაძე - პროფესორი
9. ქეთევან ხუციშვილი - პროფესორი
10. ვახტანგ ლიჩელი - პროფესორი
11. დემურ ჯალაღონია - ასოცირებული პროფესორი
12. აპოლონ თაბუაშვილი - ასისტენტ პროფესორი
13. რევაზ აბაშია - ასისტენტ პროფესორი
14. მაია მადუაშვილი - დოქტორანტი
15. ირინე გველესიანი - ფილოლოგიის დოქტორი
16. ნინო კვირიკაშვილი – დოქტორანტი
17. გვანცა ჭანტურია – ფილოლოგიის დოქტორი